0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74
greenalt@greenalt.org

6 აპრილი, 2018
04/03-609

საქართველოს მთავრობას

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი:

ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა
ს/კ: 204952676

ადმინისტრაციული საჩივარი

გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის ბრძანება #2-96 „შპს „დიდოსტატი“-ს მიერ ცემენტის წარმოებაზე (1 ახალი წისქვილის მოწყობისა და ექსპლუატაციის) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნა:

- ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის ბრძანება #2-96 „შპს „დიდოსტატი“-ს მიერ ცემენტის წარმოებაზე (1 ახალი წისქვილის მოწყობისა და ექსპლუატაციის) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

გარემოებანი, რომელსაც ეფუძნება საჩივრის მოთხოვნა:

1. 2017 წლის 21 ნოემბერს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა შპს „დიდოსტატის“ განცხადება ქ. რუსთავში, შპს „დიდოსტატის“ არსებულ საწარმოს ტერიტორიაზე, კლინკერისაგან ცემენტის დასამზადებელი 2 ახალი წისქვილის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის თაობაზე. განცხადების თანახმად, 2018 წლის 5 იანვარს, ქ. რუსთავის მერიის შენობაში დაგეგმილი იყო ამავე განცხადებასთან ერთად გამოქვეყნებული გზშ დოკუმენტის საჯარო განხილვა. განხილვამდე კი, დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და კომენტარები დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენლებს უნდა მიეწოდებინათ შპს „დიდოსტატისათვის“ არაუგვიანეს 2017 წლის 30 დეკემბრისა.

მტკიცებულება - დანართი #1. - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება.

2. 2018 წლის 5 იანვარს შპს „დიდოსტატი“-ს საწარმოს ტერიტორიაზე ცემენტის დასამზადებელი 2 ახალი ცემენტის წისქვილის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის საჯარო განხილვა ჩატარდა. როგორც საჯარო განხილვაზე გაირკვა, კომპანიამ გადაიფიქრა 2 წისქვილის მოწყობა და ექსპლუატაციაში შევიდოდა მხოლოდ 1 ახალი წისქვილი.

მტკიცებულება - დანართი #2. - შეხვედრის ოქმი

3. 2018 წლის 22 თებერვალს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა ბრძანება #2-96 „შპს „დიდოსტატი“-ს მიერ ცემენტის წარმოებაზე (1 ახალი წისქვილის მოწყობისა და ექსპლუატაციის) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“. ბრძანების თანახმად, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დამტკიცდა „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №6; 19.02.2018“ და მიენიჭა „საქმიანობის განხორციელების უფლება შპს „დიდოსტატი“-ს ცემენტის წარმოებაზე (1 ახალი წისქვილის) მოწყობა და ექსპლუატაციის) ქალაქ რუსთავში მშვიდობის ქ. N6, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე“.

მტკიცებულება - დანართი #3. - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის ბრძანება #2-96 „შპს „დიდოსტატი“-ს მიერ ცემენტის წარმოებაზე (1 ახალი წისქვილის მოწყობისა და ექსპლუატაციის) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

4. ჩვენი 2018 წლის 1 მარტის №04/03-592 წერილის პასუხად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 9 მარტის N 1878/01 წერილით გადმოგვეცა შპს ,,დიდოსტატი“-ს ცემენტის წარმოებაზე (1 ახალი წისქვილის მოწყობისა და ექსპლუატაციის) გარემოსდაცვითი გადაწყევტილების გაცემის შესახებ“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მინისტრის №2-96 ბრძანება და შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების დამადასტურებელ დოკუმენტაცია.

მტკიცებულება - დანართი #4 - მწვანე ალტერნატივას 2018 წლის 1 მარტის წერილი №04/03-592 და დანართი #5 გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 9 მარტის N 1878/01 წერილი

საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები:

1. სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

*****

2. სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. გასაჩივრებული - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის ბრძანება #2-96 ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, ვინაიდან გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე მითითებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ამ მმართველობითი ღონისძიების შედეგად დამტკიცებულია „შპს „დიდოსტატი“-ს მიერ ცემენტის წარმოებაზე (1 ახალი წისქვილის მოწყობისა და ექსპლუატაციის) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

სზაკ-ის 180.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში. ამავე კოდექსის 178.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო. ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს განსახილველ შემთხვევაში წარმოადგენს საქართველოს მთავრობა, სადაც ზემოაღნიშნული გასაჩივრების ვადის დაცვით წარმოდგენილია წინამდებარე ადმინისტრაციული საჩივარი.

მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის ბრძანება #2-96 გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის

უხეში დარღვევით, რის გამოც დასახელებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა იქნას ცნობილი სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად შემდეგ გარემოებათა გამო:

*****

ადმინისტრაციულმა ორგანომ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის ბრძანება #2-96 „შპს „დიდოსტატი"-ს მიერ ცემენტის წარმოებაზე (1 ახალი წისქვილის მოწყობისა და ექსპლუატაციის) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" გამოცემისას დაარღვია:

3. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი:

მე-6 მუხლის 1 ნაწილის (ა) ქვეპუნქტი, (გ) ქვეპუნქტი და (ე) ქვეპუნქტი. კერძოდ:
ა) პროექტს უნდა გაევლო ამ კოდექსის მე-8 და მე-9 მუხლებით განსაზღვრული სკოპინგის პროცედურა, რასაც ადგილი არ ქონია. აღნიშული მიუთითებს **კოდექსის მე-8 და მე-9 მუხლების** დარღვევაზეც;
გ) საზოგადოების მონაწილეობა - გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა არ ყოფილა უზრუნველყოფილი. 2018 წლის 5 იანვარს ჩატარებული განხილვა იყო საქმიანობის განმახორციელებლის მიერ ინიცირებული და კავშირი არ ჰქონია გადაწყვეტილების მიღების პროცესთან იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ (1) საქმიანობის განმახორციელებელს ჯერ ჰქონდა მიმართული ადმინისტრაციული ორგანოსათვის გადაწყვეტილების მისაღებად და შესაბამისად, (2) ადმინისტრაციული წარმოება გადაწყვეტილების მიღებისათვის ჯერ არ იყო დაწყებული.
ე) ექსპერტიზის ჩატარება ამ **კოდექსის VI თავის შესაბამისად**- ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება (მათ შორის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) სამინისტროს მიერ მოწოდებულ მასალებში არ მოიპოვება.

მე-6 მუხლის 2 ნაწილი, რომლის თანახმად, მინისტრი გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას გასცემს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ეტაპების დასრულების შემდეგ - როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროექტს არ გაუვლია მე-6 მუხლის 1 პუნქტით დადგენილი ეტაპები.

მუხლი 12. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება - ამ მუხლით დადგენილი არცერთი მოთხოვნა დაცული არ ყოფილა.

სრულად უგულებელყოფილია კოდექსის IV თავის მოთხოვნები ამ კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებით.

4. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი, რომლის თანახმად მოქალაქეს უფლება აქვს: ვ) მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვისა და მიღების პროცესში. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საზოგადოებას არ მიეცა გასაჩივრებული აქტის გამოცემის პროცესში ჩართვის შესაძლებლობა.

5. „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის პირველი, მესამე და მეექვსე მუხლების მოთხოვნა. კერძოდ: „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის 1. მუხლის თანახმად, „იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში, ამ კონვენციის დებულების შესაბამისად ყველა მხარე იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლების გარანტიას“.

კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ყოველი მხარე ეცდება უზრუნველყოს, რომ ოფიციალურმა პირებმა და ხელისუფლების ორგანოებმა წარმართონ და ხელი შეუწყონ საზოგადოებას, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახადონ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, გაუადვილონ გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა და ხელმისაწვდომი გახადონ სამართალწარმოება“; ხოლო იმავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „წინამდებარე კონვენციის შესაბამისი დებულებების ფარგლებში საზოგადოებას ექნება გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მართლმსაჯულების საკითხების მოპოვების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, სად არის რეგისტრირებული მათი სამყოფელი ან სად ეწევიან ფაქტიურ საქმიანობას“.

კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინების მეშვეობით (გარემოებათა გათვალისწინებით) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს ზემოთჩამოთვლილი დებულებების არ გამოყენების შესაძლებლობას - „თუ ეს

გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება არ გამოიყენოს ამ მუხლის დებულებები იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ეროვნულ თავდაცვას, თუ ეს მხარე მიიჩნევს, რომ ეს უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ამ მიზნებზე". როგორც ადმინისტრაციული წარმოების მასალებიდან ირკვევა, დაგეგმილ საქმიანობას არაფერი აქვს საერთო ეროვნულ თავდაცვასთან.

*****

6. წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, დაცულია ამ კოდექსის 181-ე მუხლით გათვალისწინებული საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის კანონით გათვალისწინებული 30 დღიანი ვადა (გასაჩივრებული აქტი და მისის გამოცემისთვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები გადმოგვეცა 2018 წლის 9 მარტს), არ არსებობს ამავე კოდექსის 182-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები, ადმინისტრაციული საჩივარი წარმოდგენილია უფლებამოსილ ორგანოში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე გთხოვთ:

- მიიღოთ ადმინისტრაციული საჩივარი წარმოებაში;
- ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის ბრძანება #2-96 „შპს „დიდოსტატი"-ს მიერ ცემენტის წარმოებაზე (1 ახალი წისქვილის მოწყობისა და ექსპლუატაციის) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ".

საჩივარზე დართული დოკუმენტების ნუსხა:

დანართი #1. - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება - 1 ფურცელი;
დანართი #2. - შეხვედრის ოქმი - 6 ფურცელი;
დანართი #3. - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის ბრძანება #2-96 „შპს „დიდოსტატი"-ს მიერ ცემენტის წარმოებაზე (1 ახალი წისქვილის მოწყობისა და ექსპლუატაციის) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" – 3 ფურცელი;
დანართი #4. - მწვანე ალტერნატივას 2018 წლის 1 მარტის წერილი №04/03-592 – 1 ფურცელი;

დანართი #5. - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 9 მარტის N 1878/01 წერილი - 1 კომპაქტური დისკი;
დანართი #6. - ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - 2 ფურცელი;
დანართი #7. - რწმუნებულება - 1 ფურცელი.

დანართი სულ: 14 ფურცელი და 1 კომპაქტური დისკი.

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: ცემენტის წარმოება

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „დიდოსტატი“

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ. რუსთავი მშვიდობის ქ. №6

დაგეგმილი საქმიანობის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:

2018 წელი, 5 იანვარი, 13:00 საათი, ქ. რუსთავის მერიის შენობა, მისამართი: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი №20;

დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და კომენტარები შეგიძლიათ მიაწოდოთ შპს „დიდოსტატის“ ოფისს, მისამართი: ქ. რუსთავი მშვიდობის ქ.№6 , არაუგვიანეს 2017 წლის 30 დეკემბრისა, საკონტაქტო პირი: სალომე მეფარიშვილი, ტელ.: +995 (599) 59-20-67.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის წინასწარი ვერსია და შესაბამისი დეტალური ინფორმაცია დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გულუას ქ. №6; ტელ.: +995 (32) 272-72-60;
- შპს „დიდოსტატის“ ოფისი, მისამართი: ქ. რუსთავი მშვიდობის ქ.№6;
- შპს „გამა კონსალტინგი“ საკონსულტაციო ორგანიზაცია, ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №15ა;

<u>გზშ ანგარიშის წინასწარი ვერსია</u>

<u>არატექნიკური რეზიუმე</u>

<u>ტექნიკური რეზიუმე</u>

შპს „დიდოსტატი"-ს საწარმოს ტერიტორიაზე 2 ახალი ცემენტის წისქვილის მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის სხდომის

ოქმი

ქ. რუსთავი 05. 01. 2018

2018 წლის 5 იანვარს 13 საათზე, ქ. რუსთავში ჩატარდა შპს „დიდოსტატი"-ს საწარმოს ტერიტორიაზე 2 ახალი ცემენტის დასაფქვავი წისქვილის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის საჯარო განხილვა, მაგრამ განხილვის პროცესში შპს „დიდოსტატი"-ს წარმომადგენლმა გაგვაცნო გადაწვეტილება, რომლის თანახმად კომპანია გეგმავს მხოლოდ 1 ახალი ცემენტის წისქვილის ექსპლუატაციაში გაშვებას, დაგეგმილი N3 ცემენტის წისქვილი მშენებლობა და ექსპლუატაცია დამოკიდებული იქნება ქვეყნის ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნაზე და საჭიროების შემთხვევაში მესამე წისქვილის მოწყობის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული იქნება ბაზრის კონიუქტურის მიხედვით.

საჯარო განხილვას ესწრებოდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის სპეციალისტი, შპს „დიდოსტატი"-ს წარმომადგენელი, შპს „რუსთავ ფოლადი"-ს გარემოს დაცვის მმართველი და გარემოსდაცვითი დოკუმენტაციის პაკეტის შემმუშავებელი საკონსულტაციო ფირმა „გამა კონსალტინგი"-ს სპეციალისტები.

საჯარო განხილვაში მონაწილეთა სია, საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით, წარმოდგენილია დანართში 1.

შეკრებილ საზოგადოებას შპს „გამა კონსალტინგი"-ს წარმომადგენელმა სალომე მეფარიშვილმა საილუსტრაციო მასალის საშუალებით გააცნო გზშ-ის ანგარიში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში, დეტალურად იქნა შესწავლილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ტერიტორია. ჩატარებული აუდიტის შედეგების და საფონდო მასალებზე დაყრდნობით, შეფასდა გარემოს ფონური მდგომარეობა, მოხდა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების წყაროების, სახეებისა და ობიექტების იდენტიფიცირება, მათი თვისობრივი და რაოდენობრივი დახასიათება, განისაზღვრა ნეგატიური ზემოქმედების თავიდან აცილების გზები. მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე, „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ" დებულების მოთხოვნების შესაბამისად, მომზადდა დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

განხილვის პროცესში ყურადღება გამახვილდა ძირითადად ადამიანის უსაფრთხოებასა და ატმოსფეროში მავნე ნივთიერების გაბნევაზე. ასევე აღინიშნა, რომ დაგეგმილ ან მიმდინარე საქმიანობას გავლენა არ ექნება: ფლორასა და ფაუნაზე, გეოლოგიურ, ბიოლოგიურ, ჰიდროლოგიურ და სეისმურ გარემოზე. ხმაურისა და ატმოსფეროში გაბნევის მაჩვენებლები გაანგარიშებით ჩანს, რომ სანიტარულ ნორმების გადაჭარბება არცერთ შემთხვევაში არ იქნება. ასევე განხილული იყო დადებითი ზემოქმედება, რასაც გამოიწვევს აღნიშნული საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლა. განხილული იქნა დაგეგმილი საქმიანობის ზეგავლენა თითოეულ რეცეპტორზე.

როგორც საჯარო განხილვის ოქმის შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, შპს „დიდოსტატი"-ს წარმომადგენლის მიერ საჯარო განხილვის დროს ახალი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. შესაბამისად 2 ერთეული (ერთი ძველი და ერთი ახალი) ცემენტის წისქვილის წარმადობა ერთად იქნება 84 000 ტონა/წელიწადში. დამატებული N2 წისქვილისთვის შენობა-ნაგებობა აშენებულია და ცემენტის წისქვილიც დამონტაჟებულია ამავე შენობაში მისთვის საჭირო ყველა დანადგარ-

მოწყობილობებით. ორივე ტექნოლოგიურ ციკლში და წვრილი საკედლე ბლოკების დასამზადებლად დასაქმებული იქნება 45 ადამიანი, რაც ნაწილობრივ დადებით გავლენას იქონიებს რუსთავის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ასევე გაზრდილი მშენებლობის ტენდენციის გამო შპს „დიდოსტატი"-ს არსებული და დამატებითი ტექნოლოგიური ხაზის საშუალებით ნედლეულის გარკვეული რაოდენობა შეიქმნება სამშენებლო ბაზარზე, რაც როგორც ქვეყნის ასევე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

განხილვის ბოლო ნაწილში მომხსენებელმა წარადგინა გზშ-ის ანგარიშით განსაზღვრული გარემოზე ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა და გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის გეგმა.

გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის დროს შენიშვნები შემოვიდა მხოლოდ საქართველოს გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან, რომელიც იხილეთ დანართში 2.

ხელმოწერა:

სხდომის თავმჯდომარე ლევან ბაწილაშვილი

სხდომის მდივანი სალომე მეფარიშვილი

საქართველოს გარემოს დაცვისა
და სოფლის მეურნეობის
სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების
ნებართვების დეპარტამენტის ნებართვების
სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი
სპეციალისტი ლია შეყრილაძე

ინფორმაცია საჯარო განხილვაში მონაწილე პირთა შესახებ

დანართი N1

შპს „დიდოსტატი"-ს საწარმოს ტერიტორიაზე 2 ახალი ცემენტის წისქვილის მოწყობის და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის სხდომაზე დამსწრე პირთა სია

5 იანვარი 2018 წელი

ქ. რუსთავი

N	გვარი, სახელი	საცხოვრებელი ადგილი	სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილი	საკონტაქტო ინფორმაცია
	ლია შეყვიდაძე	თბილისი. ნეინების 193	[illegible]	592 000440
1	გივი [illegible]	[illegible] 8 მ/ს 2-115	შპს „[illegible]" [illegible]	595-99-53-70
2	[illegible] ბანიძეშვილი	[illegible] მე-1 მკ. 12-17	ჟ.ს.ს. [illegible]	551-51-29-84
3	[illegible] ნინო	ა. [illegible] ქ. N4	შპს [illegible]	555220432
4				
5				
6				
7				
8				

ინფორმაცია საჯარო განხილვის პერიოდში შემოსული შენიშვნებისა

№	შენიშვნების და წინადადებების ავტორები	შენიშვნების და წინადადებების შინაარსი	პასუხი
1	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	გზშ-ის ანგარიშის მიხედვით საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ მდებარეობს ძირითადად საწარმოო ობიექტები და მათ დაქვემდებარებაში არსებული შენობა-ნაგებობები. გზშ-ს ანგარიშში დეტალურად უნდა იყოს მოცემული ინფორმაცია მათი დანიშნულების და საპროექტო ტერიტორიიდან დაშორების მანძილის შესახებ.	**შენიშვნა გათვალისწინებულია:** იხილეთ გზშ-ის ანგარიში, პარაგრაფი 3.1.
2	„----------„	ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშში მოცემული გვ.8 „საწარმოოს ტერიტორიაზე დაგეგმილი წისქვილების მოწყობის შემდეგ იქნება შემდეგი ინფრასტრუქტურა“, ხოლო გვ 15 „ N2 წისქვილი ტერიტორიაზე გამართულია მისთვის საჭირო დამხმარე დანადგარ-მოწყობილობებით“. აღნიშნულიდან გამომდინარე გზშ-ს ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიაზე უკვე განთავსებულია საწარმოო ინფრასტრუქტურა თუ ახლა იგეგმება მოწყობა.	**შენიშვნა გათვალისწინებულია:** იხილეთ გზშ-ის ანგარიში, პარაგრაფი 3.1.
3	„----------„	ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში ცხრილი 2.2.1 „გარემოსდაცვითი სტანდარტების ნუსხას“ უნდა დაემატოს „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებით შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“ 2016 წლის 29 მარტის საქართველოს მთავრობის N 144 დადგენილება.	**შენიშვნა გათვალისწინებულია** იხილეთ გზშ-ის ანგარიში, პარაგრაფი 2.2.
4	„----------„	გზშ-ის ანგარიშის 2.3 ქვეთავში“ საერთაშორისო ხელშეკრულებები“ ასახული უნდა იყოს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში საქართველოს მიერ	**შენიშვნა გათვალისწინებულია:** იხილეთ გზშ-ის ანგარიში, პარაგრაფი 2.3.

		რატიფიცირებული კონვენციები (ბაზელის, როტერდამის და სტოკჰოლმის კონვენციები).	
5	„----------„	გზშ-ის ანგარიშის პროექტის თანახმად, კომპანია გეგმავს 2 ახალი წისქვილის მოწყობას. გამომდინარე აქედან კომპანიას წარმოექმნება ნარჩენები, როგორც მშენებლობის, ასევე გაზრდილი წარმადობიდან გამომდინარე მოხდება ნარჩენების რაოდენობის ცვლილება. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშის პროექტში ასახული უნდა იყოს სრული ინფორმაცია ნარჩენების მართვის საკითხებთან დაკავშირებით.	როგოც გზშ-ის ანგარიშში არის მითითებული შპს „დიდოსტატ"-ს ნარჩენების მართვის გეგმა უკვე შეთანხმებული აქვს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, უკვე შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმა კი გაანგარიშებულია გაზრდილ წარმადობაზე.
6	„----------„	ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში დასკვნებისა და რეკომენდაციების თავში ასახული უნდა იყოს ძირითადი შეფასებები ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მდგომარეობის შესახებ.	**შენიშვნა გათვალისწინებულია:** იხილეთ გზშ-ის ანგარიში, პარაგრაფი 10.
7	„----------„	ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ერთვოდეს შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტების დამადასტურებელი დოკუმენტები იმ სახელმწიფო უწყებებთან და ორგანიზაციებთან, რომელთა კომპეტენციის სფეროსაც განეკუთვნება გადაწყვეტილების მიღება საქმიანობის პროექტირების სხვადასხვა სტადიის განხორციელებასთან დაკავშირებით ცალკეულ ასპექტზე.	**შენიშვნა გათვალისწინებულია**

დანართი N3

საჯარო განხილვის პროცესში დამსწრეთა ფოტო მასალა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-96

ქ. თბილისი

22/02/2018

შპს „დიდოსტატი“-ს მიერ ცემენტის წარმოებაზე (1 ახალი წისქვილის მოწყობისა და ექსპლუატაციის) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს „დიდოსტატი“-ს მიერ წარმოდგენილია ქალაქ რუსთავში შპს „დიდოსტატი“-ს ცემენტის წარმოების (1 ახალი წისქვილის მოწყობა და ექსპლუატაცია) საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში . წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება შემდეგი:

შპს ,,დიდოსტატი“-ს დაქვემდებარებაში არსებული საწარმოო ობიექტი მდებარეობს ქალაქ რუსთავში, მშვიდობის ქუჩა N6-ში არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე. აღნიშნული ნაკვეთი არის შპს ,,დიდოსტატი“-ს საკუთრებაში, , რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით (ს/კ02.05.03.646). შპს „დიდოსტატ“-ზე გაცემულია N000051 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N53 13.08.2010)

შპს ,,დიდოსტატი“ აწარმოებს როგორც ცემენტს, ასევე წვრილ საკედლე ბლოკებს. საწარმო სრული დატვირთვით ამუშავებს, ერთ ძველ (N1) წისქვილს და იმავეს წარმოებას ემატება კიდევ ერთი (N2) წისქვილი. წლის განმავლობაში გათვალისწინებულია დაახლოებით 84 000 ტონა ცემენტის წარმოება. შპს ,,დიდოსტატი: აწარმოებს სამი მარკის ევროპული სტანდარტების შესაბამის ცემენტს : MC 22.5 (მარკა-300) EN 197-1 I CEM II 32.5 ევროპული სტანდარტი (მარკა-400) EN 197 –1 I CEM II 42.5 R (მარკა-500) საწარმოდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია დაახლოებით 380 მ.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში განხილულია საწარმოო ობიექტის განთავსების ტერიტორიის ეკოლოგიური მდგომარეობა, კლიმატურ-მეტეოროლოგიური, გეოლოგიური და სეისმური პირობები. ბიომრავალფეროვნების მხრივ, საპროექტო საწარმოს მთელი ტერიტორია და მისი მიმდებარე ტერიტორია ათეული წლების განმავლობაში განიცდიდა მაღალ ტექნოგენურ და ანთროპოგენურ დატვირთვას, ამიტომ ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ გავრცელებულია მხოლოდ ხელოვნურად გაშენებული ხე-მცენარეები. გეოლოგიური დარაიონების მიხედვით რუსთავი ეკუთვნის ქვემო ქართლის ბარს. საკვლევი ტერიტორია განლაგებულია მარნეული-გარდაბნის ფოროვანი და ნაპრალოვანი წყლების არტეზიული აუზის და თბილისის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან - კარსტული წყლების წყალწნევითი სისტემის საზღვარზე.

სასმელ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაშვება მოხდება ქ. რუსთავის საკანალიზაციო სისტემაში.

საქმიანობის პროცესში მოსალოდნელია როგორც საყოფაცხოვრებო ნარჩენების, ასევე მცირე რაოდენობის საწარმოო ნარჩენების წარმოქმნა. ნარჩენების დროებითი განთავსებისათვის საკვლევ ტერიტორიაზე დაიდგმება სათანადო მარკირების მქონე დახურული კონტეინერები. საყოფაცხოვრებო ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა მოხდება ქ. რუსთავის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე. საწარმოო ნარჩენებს,

სახეობის მიხედვით, ხელშეკრულების საფუძველზე გაიტანს შპს „მედიკალ ტექნოლოგი“ და შპს „ N Electric cables“.

მოქმედი ჰაერდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად, შემუშავებული და გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არის შეთანხმებული ,,ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი''.

აღნიშნული გზშ-ს ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით (ჰაერის, ნარჩენების, ბიომრავალფეროვნების, წყლის, მიწის), რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №6; 19.02.2018 და მიენიჭოს საქმიანობის განხორციელების უფლება შპს „დიდოსტატი“-ს ცემენტის წარმოებაზე (1 ახალი წისქვილის) მოწყობა და ექსპლუატაციის) ქალაქ რუსთავში მშვიდობის ქ. N6, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს ,,დიდოსტატ“-მა საქმიანობა განახორციელოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად და უზრუნველყოს აღნიშნული გადაწყვეტილებით (№6; 19.02.2018) გათვალისწინებული შემდეგი პირობების დაცვით;
   - 3.1 საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების შესაბამისად;
   - 3.2 უზრუნველყოს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში“ წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და, შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
   - 3.3 უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება შეთანხმება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს #211 ბრძანების შესაბამისად.
   - 3.4 საწარმომ ნარჩენების მართვა უზრუნველყოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად.
   - 3.5 უზრუნველყოს ჰაერის ხარისხის მონიტორინგის წარმოება როგორც საწარმოს ტერიტორიაზე, ისე უახლოეს დასახლებულ პუნქტთან მიმართებაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.6 საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, უზრუნველყოს გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრა და შესაბამისი პროექტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარმოდგენა;

3.7 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით.

4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,დიდოსტატს“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,დიდოსტატი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

მწვანე ალტერნატივა
0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74
greenalt@greenalt.org

28 თებერვალი, 2018
04/03-592

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს
ქალბატონ ეკატერინე ბენდელიანს

ქალბატონო ეკატერინე,

გთხოვთ, გადმოგვცეთ „შპს „დიდოსტატი“-ს მიერ ცემენტის წარმოებაზე (1 ახალი წისქვილის მოწყობისა და ექსპლუატაციის) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მინისტრის 22/02/2018 N 2-96 ბრძანების გამოცემისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ამსახველი სრული დოკუმენტაციის ასლი.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი

საქართველო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 1878/01
09/03/2018

1878-01-2-201803091352

მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს
ქალბატონ ნინო გუჯარაიძეს

მისამართი: თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართული

ქლაბატონო ნინო,

თქვენი მიმდინარე წლის 1 მარტის №04/03-592 წერილის საფუძველზე გიგზავნით, შპს ,,დიდოსტატი"-ს ცემენტის წარმოებაზე (1 ახალი წისქვილის მოწყობისა და ექსპლუატაციის) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მინისტრის №2-96 ბრძანებას და შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

დანართი:

1.გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, განხილვის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაცია: (შპს"დიდოსტატის" გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, ტექნიკური რეზიუმე, არატექნიკური რეზიუმე, შენიშვნები.)

2.გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაცია: (შპს"დიდოსტატის" გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, ტექნიკური რეზიუმე, არატექნიკური რეზიუმე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.)

დანართებს გიგზავნით თქვენს მიერ წარმოდგენილ ელექტრონულ ფოსტაზე.
www.greenalt.org

ნინო თანდილაშვილი

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013



მინისტრის მოადგილე